

ISSN 2667-9302

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
Teaching University Geomedi LLC



მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები
სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები
თბილისი, 2020 წლის 17 ივლისი

Modern Issues of Medicine and Management

Materials of the Scientific-Practical Conference

Tbilisi, 17 July, 2020

ISSN 2667-9302

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
Teaching University Geomedi LLC



მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები
სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები
თბილისი, 2020 წლის 17 ივლისი

**Modern Issues of Medicine and Management
Materials of the Scientific-Practical Conference**

Tbilisi, 17 July, 2020

№2

შინაარსი

1. სიმსივნური წარმონაქმნების აუტოპოეზისური მახასიათებლები
ვახანია მ. 3
2. ცვლილებების მართვის თანამედროვე ეკონომიკური ტრენდები
დობორჯგინიძე ს. 11
3. პროფესიული კომპეტენციების განვითარება სამედიცინო მენეჯმენტში
ლაზვიაშვილი ლ. 20
4. რეკომენდაციები მენეჯმენტის რენტაბელობისათვის ჰარვარდის,
მინესოტასა და გეომედის უნივერსიტეტების გამოცდილების საფუძველზე
ლორთქიფანიძე რ 26
5. არაფროიდული „სიამოვნების პრინციპი“, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი
ქვაკუთხედი
კაპანაძე ა. 32

სიმსივნური წარმონაქმნების აუტოპოეზისური მახასიათებლები

მალხაზ ვახანია

შესავალი

მრავალუჯრედიანი ორგანიზმების დაავადებებს შორის, განსაკუთრებულად გამოირჩევა ავთვისებიანი სიმსივნეები. მათი აღმოცენება, განვითარება და მიმდინარეობა არ ჰგავს ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე არც ერთ პათოლოგიურ პროცესს. მრავალფეროვანია მისი გამომწვევი მიზეზები: ვირუსებით დაწყებული და დამთავრებული ენდოგენური კანცეროგენებით.

ძირითადი ტექსტი

გერმანელი მეცნიერი ჰანსელმანი მიიჩნევდა, რომ სიმსივნური უჯრედი განსაკუთრებულად განსხვავდება დედისეული უჯრედისაგან. ჰანსელმანი განმასხვავებელ ნიშანში უპირატესად გულისხმობდა სიმსივნის მორფოლოგიას და დაქვეითებულ დიფერენციაციას; ფიზიოლოგიურად კი სიმსივნური უჯრედების დამოუკიდებლობას. დიფერენციაციის სხვადასხვა ხარისხის და დამოუკიდებლობის არსებობის უნარის გამო, სიმსივნური უჯრედების ეს თვისებები ჰანსელმანმა აღნიშნა ტერმინით „ანაპლაზია“, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა [1]. სიმსივნის წარმოშობის პარატიზული თეორიის ფუძემდებელი კარლმიხენი სიმსივნეს მიიჩნევდა დაავადებული ორგანოდან წამოზრდილ, ღრუბლის ფორმის ტოქსიკურ წარმონაქმნად. პროფესორი ნევიადომსკი სიმსივნურ უჯრედს ქვესამეფო უმარტივესების წარმომადგენლად თვლიდა, ხოლო განვითარების ციკლის მიხედვით აყენებდა ქლამიდიების კლასთან, თვით სიმსივნეს კი მიკროპარაზიტების კოლონიად მიიჩნევდა [2].

სიმსივნური უჯრედები, ამა თუ იმ მიზეზით, მრავალუჯრედიან ორგანიზმებში ვითარდებიან და მათი ქცევა ძალიან წააგავს ერთუჯრედიანი პარაზიტების ქცევას. ცნობილია, რომ პარაზიტების ევოლუცია განვითარდა ორგანიზმის სტრუქტურების გამარტივების გზით. აქვს თუ არა ადგილი მსგავს მოვლენას სიმსივნურ უჯრედებში?!

ავთვისებიანი უჯრედი ხასიათდება მორფოლოგიური და ბიოქიმიური ატიპიზმით. რაც იმას ნიშნავს, რომ ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედებში, მცირდება ზედაპირის ფართობი, მასთან ერთად ნექსუსების რაოდენობა, რომელიც განაპირობებს უჯრედების ადგეზიას, იცვლება მემბრანული გლიკოპროტეინების შემადგენლობა კერძოდ, მოკლდება ნახშირწყლოვანი ჯაჭვები, უჯრედი იწყებს მემბრანული ჯანმრთელი მომწიფებული უჯრედისათვის არადადამახასიათებელი ემბრიონალური ცილების სინთეზს. აღნიშნული ცვლილებები უპირველესად განაპირობებენ უჯრედული კონტაქტების დარღვევას, რაც ზრდის უჯრედის მემბრანის ლაბილობას. ნორმის პირობებში უჯრედები ერთმანეთთან კონტაქტში შედიან და წყვეტენ გამრავლებას. სიმსივნეში კი როცა ეს კონტაქტები დარღვეულია უჯრედების გამრავლება გამუდმებით მიმდინარეობს.

სიმსივნური წარმონაქმები არა მარტო საკუთარი უჯრედების ორგანიზაციის გამარტივების გზით ემსგავსებიან პარაზიტებს, არამედ მოლეკულურ დონეზეც, კერძოდ; აღმოჩენილია ავთვისებიანი უჯრედების ანტიგენური სტრუქტურების მსგავსება მიკროორგანიზმებთან [3]; ადამიანის თავის ტვინის მეტასტაზები, რომელიც ვლინდება კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით, ძალიან ჰგავს ტოქსოპლაზმოზით ადამიანის თავის ტვინის დაზიანებას. არაერთი შრომა მიუთითებს ტოქსოპლაზმოზის და თავის ტვინის სიმსივნეების კავშირზე [4;5;6].

სიმსივნური უჯრედების მსგავსება მიკროორგანიზმებთან გვაფიქრებინებს, რომ სიმსივნეების განვითარების ხელშემწყობ გარემო პირობებში, სიმსივნით დაავადებული მრავალუჯრედიანი ორგანიზმი თითქოს ეძებს გამოსავალს რათა გადარჩეს. ამ მიზნით სიმსივნური უჯრედები იმუშავებენ ისეთ თვისებებს, რომლის საშუალებითაც ისინი მდგრადი ხდებიან გარემოში არსებული მავნე ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორების მიმართ. მეცნიერების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც არახელსაყრელი გარემო პირობების მაგალითად ჰიპოქსიის პირობებში, უჯრედები ცდილობენ გადარჩენას, მაგრამ შესაძლებელია ამ შემთხვევაში ორგანიზმი არ იფარგლებოდეს მხოლოდ ცალკეული უჯრედები გადარჩენით, არამედ ცდილობდეს შექმნას კარგად ორგანიზმებული უჯრედული წარმონაქმნები, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მრავალუჯრედიანი ორგანიზმი, რომელიც ვერ უძლებს გარემოს მკაცრ პირობებს, ცდილობს ახალი ორგანიზმებული სისტემების შექმნით ჩანაცვლოს საკუთარი არსებობა, სიმსივნური ტიპის უფრო ძლიერი უჯრედებით, თუმცა ამას ვერ ახერხებს და ორივე „ორგანიზმი“ იღუპება.

მოსაზრება: გარემოს მოქმედებით გამოწვეული მრავალუჯრედიანი ორგანიზმის დაავადება, სიმსივნური წარმოქმნების გაჩენით და ამით ორგანიზმის მცდელობას, უპასუხოს გადარჩენის მიზნით უფრო მდგრადი ორგანიზაციული სისტემის წარმოქმნით და მოახდინოს მისით ჩანაცვლება, რთული წარმოსადგენია, მით უფრო როცა სიმსივნური წარმონაქმნები ღუპავს მრავალუჯრედიან ორგანიზმს.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში, ჩილელმა ნეირობიოლოგებმა უმბერტო მატურანამ და ფრანცისკო ვარელამ, ჩამოაყალიბეს აუტოპოეზისის თეორია, რომელიც წარმოადგენს სიცოცხლის კრიტერიუმების გამოსახვის თანამედროვე მცდელობას. ტერმინით აუტოპოეზისი (თვითქმნადობა, თვითდაბადება) ავტორები ცდილობენ გამოაცალკევონ ცოცხალი სისტემები არაცოცხალისაგან. ავტოპოეზისური პროცესებით სისტემა ახორციელებს საკუთარი კომპონენტების თვითწარმოქმნას, რომელიც მათ ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილია, ასევე უზრუნველყოფს მათ კავშირს და ხელს უწყობს საკუთარ იდენტურობას. ყოველივე ემატება სისტემის შიგნით ახალი ელემენტების გაჩენის შესაძლებლობა, ახალი კავშირების და ახალი წესრიგის წარმოშობა [7].

აუტოპოეზისის თეორიის მიხედვით, სისტემა მაშინ არის აუტოპოეზური, როცა მასში ხორციელდება შემდეგი პირობები:

- სისტემა წარმოადგენს ქსელს, სადაც ჩართულია ელემენტების გარკვეული რაოდენობა, ქსელების სტრუქტურაში აქ იგულისხმება განსაკუთრებული

ორგანიზაციის ფორმა, სადაც ყოველი ელემენტი გავლენას ახდენს დანარჩენებზე (მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა);

- პროცესები გამოდის ელემენტების ქსელის სახით;
- პროცესები ფიზიკურია;
- პროცესები სისტემის მიერ არის წარმოქმნილი; ამ პროცესების შედეგად შესაძლებელია სისტემის მუდმივი აღდგენა და შესაძლო ცვლილებები;
- ქსელების საზღვრები. ქსელი ელემენტებიდან ერთი არის ქსელურ ურთიერთობაში დანარჩენ ელემენტებთან [8;9].

სიმსივნური წარმონაქმნები მეტ-ნაკლებად პასუხობს აუტოპოეზისურ მახასიათებლებს. სიმსივნურ სისტემაში ადგილი აქვს მთელ რიგ პროცესებს, რომელიც მორგებულია მის ზრდა-განვითარებაზე და რაც მთავარია გამრავლებაზე რასაც ხელს უწყობს აპოპტოზის გამომწვევი ფაქტორების არარსებობა, სიმსივნურ უჯრედებს გააჩნიათ საკუთარი მეტაბოლური პროცესები, ივითარებენ სისხლძარღვებს, გააჩნიათ მეტასტაზირების უნარი.

აუტოპოეზისის თეორიის სპეციფიკურ მსოფლმხედველობას წარმოადგენს შემეცნება, როგორც სიცოცხლის პროცესი, ამ კონცეპციის მიხედვით, ორგანიზმები მოქმედებენ ადექვატურად, როგორც ინდივიდუალურად ისე კოოპერატიულად. ამასთან ავტორები მიიჩნევენ, რომ შემეცნებისათვის აუცილებელი არ არის ნერვული სისტემის არსებობა, რაც ჩამოაყალიბეს მოკლე ფორმულირებით „სიცოცხლე ეს შემეცნებაა“. სანამ აუტოპოეზური სისტემა არსებობს მისის აქტიურობა გამოიხატება ავტონომიური ორგანიზაციით რაც არის კიდევ შემეცნების საწყისი [9].

ნებისმიერმა ნერვული სისტემის არ მქონე ცოცხალმა არსებამ თითქოს „იცის“ როგორ უნდა უპასუხოს გარემო პირობების ცვლილებებს, როგორც მოახდინოს ადაპტირება და აქედან გამომდინარე გადარჩეს. სიმსივნური წარმონაქმნებიც ზუსტად ასე მოქმედებს, თუმცა საბოლოო ჯამში მრავალუჯრედიანი ორგანიზმის წიაღში განვითარებული იღუპება. მატურანა-ვარელას მიხედვით ერთი სახის ორგანიზმებს უვითარდება კონკრეტული სტრუქტურები, რაც არ არის დამოკიდებული მათი ურთიერთქმედების ისტორიის სპეციფიკაზე. ასეთ სტრუქტურებს გენეტიკურად მოცემულს უწოდებენ, ხოლო ქცევის ვარიანტებს - ინსტიქტურს. არის თუ არ გენეტიკურად მოცემული სიმსივნურ უჯრედებში ზოგადად ორგანიზმის გადარჩენა? ორგანიზმიულ დონეზე ცხადია ეს ვერ ხერხდება, მაგრამ შესაძლებელია თუ არა ცალკეული უჯრედების შემდგომი განვითარებით მიზანი მიღწეული აღმოჩნდეს თუნდაც მოლეკულურ დონეზე?

სიმსივნური წარმონაქმნების განვითარებაში კი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი არის მისი ადაპტაციების გამომუშავების უნარი. როგორც ყოველი ცოცხალი არსება, სიმსივნური წარმონაქმნები, მუდმივად პასუხობს გარემოს გარე გამღიზიანებლებს, ამის მკაფიო მაგალითია სიმსივნის თანამედროვე ქიმიოთერაპია, როცა პაციენტს უტარდება ციტოტოქსიკური თერაპია და ამ პროცესში წლების შემდეგ ვითარდება კიბოს ახალი ფორმა [10].

ეს ცალსახად მიუთითებს სიმსივნის ევოლუციაზე. მისი მეტასტაზირების პროცესიც კი არ არის ერთგვაროვანი, მოდელურმა კვლევებმა აჩვენა, რომ კიბოს კლონის მიგრაციული უნარი იზრდება და უჯრედების გადარჩევა ხდება სხვადასხვა საარსებო არის გარდამავალი რესურსების გავლენით. მეტასტაზირების პროცესში აუცილებელია სიმსივნურმა უჯრედმა გადალახოს იმ ქსოვილის ბარიერი, სადაც უნდა მოხდეს მისი ჩაზრდა. სიმსივნური უჯრედების უმრავლესობა ვერ ახერხებს ამ ბარიერის გადალახვას. მხოლოდ რჩეულები ახერხებენ მასში შეღწევას, რომლებსაც ხელსაყრელი გენეტიკური ცვლილებები გააჩნია [11;12]. აღნიშნული ბუნებრივი გადარჩევის მსგავსი მოვლენაა, მეტასტაზი იზრდება იმ უჯრედიდან რომელიც უფრო ძლიერია და ასეთები ყოველთვის გვხვდება ავთვისებიან სიმსივნეში.

სიმსივნური წარმონაქმნების ქცევა და თვისებები გვაფიქრებინებს, რომ ხომ არ ხდებოდა ცოცხალი ორგანიზმების არსებობის ხანგრძლივი ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე, მრავალუჯრედიანი ორგანიზმებში აღმოცენებული, სიმსივნური უჯრედების მიერ დამოუკიდებელი პოპულაციების წარმოქმნა ან მათგან ერთუჯრედიანი ორგანიზმების განვითარება დამოუკიდებელ სახეობებად. მტრულ აბიოტურ გარემო პირობებში მრავალუჯრედიანი ორგანიზმების წიაღში განვითარებული სიმსივნური წარმონაქმნები, გაცილებით ძლიერი იქნებოდნენ სხვადასხვა ქიმიური თუ ფიზიკური ფაქტორების მიმართ, ასეთი უჯრედების ფართოდ გავრცელება კი ხელს შეუწყობდა სიმსივნური უჯრედების უსაზღვრო გამრავლების უნარი. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ამ მექანიზმით შესაძლოა განხორციელებულიყო მრავალუჯრედიანი ორგანიზმებიდან მისი გარკვეული ნიშნების მატარებელი ერთუჯრედიანი ორგანიზმების დროში თანდათანობით ფორმირება.

რაც შეეხება მრავალუჯრედიანი ორგანიზმის გადარჩენას მოლეკულურ დონეზე ანუ მისი თუნდაც მცირე ნიშან-თვისების შენარჩუნებას გვაფიქრებინებს, შემდეგი მოვლენა, კერძოდ, სიმსივნური უჯრედიდან, არსებული გენების, სხვადასხვა ორგანიზმებში შესაძლო გადატანა რეტროვირუსების საშუალებით, რომლითაც გაჯერებულია არაერთი ხერხემლიანის მათ შორის ადამიანის გენომი. შორეულ წარსულში შესაძლოა რეტროვირუსები მრავალუჯრედიანი ორგანიზმებში აღმოცენებული, მუტაციურად შეცვლილი სიმსივნური გენები ყოფილიყო, რომლებსაც გარკვეული ფუნქციები გააჩნდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში წამოყენებული იყო იდეა, რომ ზრდასრულ ადამიანის ორგანიზმში არსებობს ნაკლებად დიფერენცირებული ემბრიონული ტიპის უჯრედები, რომლებსაც ავტორების აზრით, შეეძლოთ სიმსივნურ უჯრედებად ჩამოყალიბება. სადღეისოდ მიჩნეულია, რომ არსებობს სიმსივნური ღეროვანი უჯრედები, მათი რაოდენობა ზოგიერთი ავტორის ცნობით ძალიან მცირეა 1-4%, თუმცა მათ შეუძლიათ სრულად უზრუნველყონ სიმსივნური უჯრედების მრავალფეროვანი ტიპების ზრდა. გარდა ამისა, სიმსივნური უჯრედები ერთმანეთისაგან განსხვავდება პროლიფერაციული პოტენციალის უნარით [13;14;].

ცნობილი ფაქტია, რომ როგორც ნორმალურ ისე ავთვისებიანი ღეროვანი უჯრედები, ფლობენ თვითწარმოქმნის და დიფერენცირების უნარს. სიმსივნური და ნორმალური

დეროვანი უჯრედების მსგავსებაზე მიუთითებს მათი ფენოტიპური ჰეტეროგენულობა. არსებობს მოსაზრება, რომ სიმსივნური დეროვანი უჯრედები, შეიძლება პოტენციურად წარმოიქმნას ნორმალური დეროვანი უჯრედებიდან. სადღეისოდ არსებობს არაერთი კვლევა, რომელიც მიუთითებს ნორმალური და სიმსივნურ დეროვან უჯრედებს შორის ანტიგენური პროფილის მსგავსებაზე. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ როგორც ნორმალური ისე სიმსივნური დეროვანი უჯრედები დადებითია CD133 რეცეპტორის არსებობის მხრივ [15;16;17;]. სიმსივნურ და ნორმალურ დეროვან უჯრედებს შორის ხშირად შეინიშნება ქემოკინური CXCR-4 რეცეპტორების ექსპრესია. მოცემული რეცეპტორის ურთიერთქმედებას მის SDF-1a ლიგანდთან ურთიერთქმედება განაპირობებს უჯრედულ მიგრაციას. CXCR-4 რეცეპტორი მნიშვნელოვანია უჯრედების ჰომინგისათვის (ორგანიზმში მისი შეყვანის შემდეგ ის პოულობს დაზიანებულ ზონას და იწყება ამ ზონის აღდგენა), სიმსივნურმა უჯრედებმა ის შეიძლება გამოიყენონ ინვაზიის და მეტასტაზირების პროცესისათვის (18;19;20;).

სიმსივნური დეროვანი უჯრედების არსებობა, სიმსივნური უჯრედების მსგავსება დეროვან უჯრედებთან, მათი გამარტივებული სტრუქტურა შესაძლოა შორეულ წარსულში ყოფილიყო ზოგიერთი ერთუჯრედიანი ორგანიზმის დასაბამის დასაწყისი, რომელიც შემდგომი მოდიფიკაციების საშუალებით ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ორგანიზმად. მათ შორის სავსებით შესაძლებელია იმ პარაზიტულ ერთუჯრედიან ორგანიზმებად, რომლებიც იწვევენ მრავალუჯრედიანი ორგანიზმების, მათ შორის ადამიანების დაავადებას. ზოგიერთ მათგანი აშკარა მსგავსებას ავლენს არა მარტო სიმსივნურ უჯრედთან არამედ ემსგავსება მრავალუჯრედიან ორგანიზმში განვითარებული პათოლოგიური პროცესების სახითაც.

დასკვნა

სიმსივნური წარმონაქმნებიდან ზოგიერთი ერთუჯრედიანი ორგანიზმების წარმოშობაზე მიუთითებს მათ შორის მსგავსება, რაც გამოიხატება: გამრავლების პოტენციურად ძლიერ უნარში; ავტონომიურ და კოლონიურ ზრდაში რაც ხელს უწყობს გადარჩენას. სიმსივნური მეტასტაზირების მსგავსება, რაც გამოიხატება უმარტივესების კოლონიიდან ერთი უჯრედის მიერ ახალი კოლონიის წარმოქმნაში. სიმსივნური და პარაზიტი ერთუჯრედიანი ორგანიზმები გამოყოფენ ნაერთებს, რომლებიც აზიანებს მრავალუჯრედიანი ორგანიზმების ნივთიერებათა ცვლის, იმუნურ, ნერვულ და სხვა სისტემებს.

აუტოპოეზისის თეორიის ერთ-ერთი მთავარი ფორმულირება: სიცოცხლე ნიშნავს შემეცნებას, კარგად ასახავს ნერვული სისტემის გარეშე სიმსივნური წარმონაქმნების მოქმედებას: მათ „იციან“ თუ როგორ უპასუხონ გარემო პირობების ცვლილებებს, ისევე, როგორც სხვა ერთუჯრედიანმა ორგანიზმებმა, რომლებსაც ასევე არ გააჩნიათ ნერვული სისტემა;

აღსანიშნავია სიმსივნური დეროვანი უჯრედების ფენომენი, რომელიც მძლავრი ინსტრუმენტია სიმსივნეების, როგორც წარმოშობის, ისე გავრცელების და გადარჩენის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hansemann D. P. Die mikroskopische Diagnose der bosartigen Geschwulste, B., 1897.
2. Невядомский М. М К вопросу о микропаразитарном происхождении раковой клетки. - Москва : Медгиз, 1952. - 76 с.; 4 л. илл.
3. Затула Д.Г. Микроорганизмы, рак и противоопухолевый иммунитет. – Киев, 1985. – 247 стр.
4. Thirugnanam S, Rout N, Gnanasekar M. Possible role of *Toxoplasma gondii* in brain cancer through modulation of host microRNAs. Infect Agent Cancer. 2013;8:8.
5. Thomas F, Lafferty KD, Brodeur J, Elguero E, Gauthier-Clerc M, Missé D. Incidence of adult brain cancers is higher in countries where the protozoan parasite *Toxoplasma gondii* is common. Biol Lett. 2012;8:101–103.
6. Ryan P, Hurley SF, Johnson AM, Salzberg M, Lee MW, North JB, McNeil JJ, McMichael AJ. Tumours of the brain and presence of antibodies to *Toxoplasma gondii*. Int J Epidemiol. 1993;22:412–419.
7. Моисеев В.И. Крактий обзор теории аутопоза / В.И. Моисеев. - Режим доступа: <http://philosophy-msmsu.narod.ru/Autopoiesis/Obzor.Htm>
8. Эйген М. Гиперцикл: принципы самоорганизации макромолекул / М. Эйген, П. Шустер. - М.: Мир, 1982. - 270 с.
9. Maturana H. & Varela F.J. (1980) Autopoiesis and Cognition: The Realization of the Living. Dordrecht; Boston; London: D. Reidel Publishing Company.
10. Allan JM, Travis LB. Mechanisms of therapy-related carcinogenesis. Nat Rev Cancer. 2005 Dec;5(12):943–55
11. Bernards R, Weinberg RA. A progression puzzle. Nature. 2002 Aug 22;418(6900):823.
12. Chen J, Sprouffske K, Huang Q, Maley CC. Solving the puzzle of metastasis: the evolution of cell migration in neoplasms. PLoS One. 2011;6(4):e17933.
13. Singh S.K., Hawkins C., Clarke I.D. et al. Identification human brain tumour initiating cells. Nature 2004; 4326_401.
14. Agarwal J.R., Matsui W. Multiple Myeloma: A Paradigm for Translation of the Cancer Stem Cell Hypothesis. Anticancer Agents Med Chem. 2010, 10 (2):116_120.
15. Pfenninger C.V., Roschupkina T., Hertwig F. et al. CD133 is not present on neurogenic astrocytes in the adult subventricular zone, but on embryonic neural stem cells, ependymal cells, and glioblastoma cells. Cancer Res. 2007; 67 (12): 5727_5736.
16. Kania G., Corbeil D., Fuchs J. et al. Somatic stem cell marker prominin_1/CD133 is expressed in embryonic stem cell_derived progenitors. Stem Cells. 2005; 23 (6): 791_804.
17. Barraud P., Stott S., Mollgard K., Parmar M., Bjorklund A. In vitro characterization of a human neural progenitor cell coexpressing SSEA4 and CD133. J Neurosci Res. 2007; 85 (2): 250_259.

- 18.Zou Y.R., Kottmann A.H., Kuroda M., Taniuchi I., Littman D.R. Function of the chemokine receptor CXCR4 in haematopoiesis and in cerebellar development. Nature 1998; 393: 595_9.
- 19.Hatch H.M., Zheng D., Jorgensen M.L., Petersen B.E. DF_1a/CXCR4: a mechanism for hepatic oval cell activation and bone marrow stem cell recruitment to the used liver of rats. Cloning Stem Cells 2002; 4: 339_51.
- 20.Peled A., Petit I., Kollet O. et al. Dependence of human stem cell engraftment and repopulation of NOD/SCID mice on CXCR4. Science 1999; 283:845_8.

**სიმსივნური წარმონაქმნების აუტოპოეზისური მახასიათებლები
მაღხაზ ვახანია
რეზიუმე**

სიმსივნური წარმონაქმნებიდან ზოგიერთი ერთუჯრედიანი ორგანიზმების წარმოშობაზე მიუთითებს მათ შორის მსგავსება, რაც გამოიხატება: გამრავლების პოტენციურად ძლიერ უნარში; ავტონომიურ და კოლონიურ ზრდაში, რაც ხელს უწყობს გადარჩენას. სიმსივნური და პარაზიტი ერთუჯრედიანი ორგანიზმები გამოყოფენ ნაერთებს, რომლებიც აზიანებს მრავალუჯრედიანი ორგანიზმების ნივთიერებათა ცვლის, იმუნურ, ნერვულ და სხვა სისტემებს.

აუტოპოეზისის თეორიის ერთ-ერთი მთავარი ფორმულირება: სიცოცხლე ნიშნავს შემეცნებას, კარგად ასახავს ნერვული სისტემის გარეშე სიმსივნური წარმონაქმნების მოქმედებას: მათ „იციან“ თუ როგორ უპასუხონ გარემო პირობების ცვლილებებს. აღსანიშნავია სიმსივნური ღეროვანი უჯრედების ფენომენი, რომელიც მძლავრი ინსტრუმენტია სიმსივნეების, როგორც წარმოშობის, ისე გავრცელების და გადარჩენის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: აუტოპოეზისის თეორია. სიმსივნური უჯრედები. ავთვისებიანი სიმსივნეები. აუტოპოეზური მახასიათებლები.

**Autopoietic characteristics of tumors
Malkhaz Vakhania
Resume**

The origins of some single-celled organisms indicate the similarity between them, which is manifested in: a potentially strong ability to reproduce; In autonomous and colonial growth, which contributes to survival. Tumor and parasite single-celled organisms secrete compounds that damage the metabolic, immune, nervous, and other systems of multicellular organisms.

One of the main formulations of the theory of autopoiesis: life means cognition, well reflects the action of tumors without the nervous system: they "know" how to respond to changes in environmental conditions.

Noteworthy is the phenomenon of tumor stem cells, which is a powerful tool in the process of tumor origin, spread and survival.

Key words: Theory of autopoiesis. Tumor cells. Malignant tumors. Autopoietic characteristic.

Аутопоэтические характеристики опухолей

Малхаз Вахания

Резюме

Происхождение некоторых одноклеточных организмов из опухолей указывает на сходство между ними, которое проявляется в: потенциально сильной способности к воспроизводству; В автономном и колониальном росте, который способствует выживанию.. Опухолевые и паразитические одноклеточные организмы выделяют соединения, которые повреждают метаболическую, иммунную, нервную и другие системы многоклеточных организмов.

Одна из основных формулировок теории аутопоэза: жизнь означает познание, хорошо отражает действие опухолей вне нервной системы: они «умеют» реагировать на изменение условий окружающей среды.

Обращает на себя внимание феномен стволовых клеток опухоли, который является мощным инструментом в процессе возникновения, распространения и выживания опухоли.

Ключевые слова: теория аутопоэза, опухолевые клетки, злокачественные опухоли, аутопоэтические характеристики, теория аутопоэзиса, опухолевые клетки, Злокачественные опухоли, аутопоэтические характеристики.

ცვლილებების მართვის თანამედროვე ეკონომიკური ტრენდები
დობორჯგინიძე ს., ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საქართველო, თბილისი, უნივერსიტეტი გეომედი

შესავალი

მნიშვნელოვანი გაურკვევლობით დაიწყო 2020 წელი მსოფლიოში. კორონავირუსმა საფრთხე შეუქმნა ადამიანების ჯანმრთელობას და შეაფერხა ეკონომიკური საქმიანობა ჩინეთში, რაც მსოფლიო ეკონომიკაზეც აისახა - მსოფლიო ბირჟებზე აქციების ფასები ეცემა, ვალუტები უფასურდება, მოგზაურობა აიზღუდება და სხვა.

ეკონომისტების ვარაუდით, ახალი კორონა ვირუსის ეპიდემიის შედეგად მსოფლიო ეკონომიკის ზრდა შემცირდება 1.3 %-ით, რაც დაახლოებით 1.1 ტრილიონი დოლარის ეკვივალენტია.

პოსტპანდემიური კრიზისის დასაძლევად. პირველ რიგში, მიღებული უნდა იქნას ზომები მოქალაქეების ჯანმრთელობისა და მათთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისკენ, რათა ჯანდაცვის სისტემა იყოს მდგრადი და გაუძლოს პანდემიის ზეწოლას. ამასთან, ქვეყანაში გატარდეს ღონისძიებები სხვადასხვა სექტორის ფინანსურ მხარდასაჭერად..

ის ქვეყნები, რომელთაც საგანგებო მდგომარეობის მენეჯმენტის ცენტრალიზება ვერ შეძლეს გაცილებით უარეს მდგომარეობაში, კოლფსში აღმოჩნდნენ, რადგან კრიზისის სამართავად სხვადასხვა ღონის მთავრობების განსხვავებულმა მიდგომებმა და მესიჯებმა ქაოსი გამოიწვია და გაართულა მართვა. რაც არ მოხდა საქართველოში, რადგან აქ პროცესების ცენტრალიზება მოხდა.

ძირითადი ტექსტი

კორონავირუსის პანდემიამ და წამყვანი ქვეყნების ეკონომიკის შემდგომმა დაბლოკვამ განაახლა მენეჯმენტის სტილის საკითხების განხილვა და მენეჯერების როლი მზარდი გაურკვევლობის ფონზე. უფრო მეტიც, თვითიზოლაციის გამოსავალი და პოსტ-პანდემიური სამყაროს რეალობა გვიჩვენებს, რომ ტრადიციული საორგანიზაციო და საშტატო სტრუქტურები ბოლო ექვსი შვიდი თვის განმავლობაში გარდაიქმნებიან ამ ახალი გარეგანი გამოწვევების გავლენის ქვეშ.

მიღებულია მართვის კლასიკური სტილის დაყოფა უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის დელეგირების მეთოდებით. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ტერიტორიაზე ყველაზე უფრო მენეჯმენტის ფუნქციური მიდგომაა გავრცელებული, რომელიც გულისხმობს, რომ შესრულებული ფუნქციები განსაზღვრავს ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას. და რამდენი ფუნქციაა ბიზნესში? მთავარი, როგორც წესი, - ეს არის წარმოება, ფინანსები, მარკეტინგი, პერსონალი. შეიძლება ასევე დავამატოთ დამხმარე ფუნქციები - ადმინისტრაციული, იურიდიული, უსაფრთხოების. ყველა თანამშრომელი დაყოფილია კონკრეტული ფუნქციის შესაბამისად. მთელ ამ საზოგადოებაზე მაღლა დგას ფუნქციონალური ლიდერი, რომელიც იღებს

ძალაუფლებას და ამით პასუხისმგებლობა ეკისრება მას და იმ ადამიანებს, ვინც უნდა შეასრულოს ეს სამუშაო. გარდა ამისა, ძირითადი ფუნქცია იყოფა ქვეფუნქციებად. მაგალითად, ფინანსური ფუნქცია პირობითად შეიძლება დაიყოს გეგმიურ-ეკონომიკური, სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვა.


ძირითადი "საზოგადოება" კიდევ უფრო დაყოფილია - თანამშრომლებთან მიმართებაში კონკრეტული ქვეფუნქციის მიხედვით. კვლავ, მმართველი ინიშნება თავისი უფლებამოსილებითა და პასუხისმგებლობით, ფუნქციური მენეჯერის დაქვემდებარებაში. და ა.შ., სანამ ისინი მიიღებენ კონკრეტულ კონტრაქტორს თავიანთი მოვალეობებითა და უფლებებით. ამრიგად, ჩვენ ვიღებთ ნაცნობ იერარქიულ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომლის თანახმად, უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის გადაცემა ხდება კომპანიაში ზემოდან ქვემოთ. ხელმძღვანელობა ხორციელდება ვერტიკალური გზით: ინსტრუქციები მოდის ზემოდან ქვემოთ, შესრულების ანგარიშები კი ქვემოთ ზემოდან.

ითვლებოდა, რომ მენეჯმენტის ამგვარი მიდგომა, მართვის ავტორიტეტულ სტილთან ერთად, ძალიან ეფექტური იყო კრიზისის დროს. მართლაც, კრიზისის დროს, საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება ცალსახად, აშკარად და რაც მთავარია - სწრაფად. კორონაკრიზისი განსხვავდება ყველა კრიზისისგან, რომელსაც ბიზნესი ეცნობა - პანდემიამ ისეთი "ხაზი გაუსვა", როგორც გაურკვეველობა.

ამ გაურკვეველობის დასაწყისში, ცოტას შეეძლო გარკვევა კრიზისის სიგნალების შესახებ. იმის გაგება, რომ პრობლემები იწყება, მხოლოდ შემოსავლის ვარდნით მოხდა. შემოსავლის შემცირებამ განაპირობა ფულადი სახსრების მართვის საჭიროება, შეურიგებელი ბრძოლა ხარჯებთან, ბიზნესის შემცირებით ან შეჩერებით.

გადაწყვეტილების მიღება გაურკვეველობის პირობებში. მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ჩვენ ყველანი გლობალური ცვლილებების მოწმე ვართ, რომელიც ბაზრებზე ხდება. ასეთ პერიოდებში კომპანიებსა და მათ ლიდერებს უამრავი კითხვა აქვთ: "რა ხდება?", "რა იქნება შემდეგ?", "რა უნდა გაკეთდეს?"

Cynefin Framework (ავტორი - Dave Snowden) არის მართვის კონცეფცია, რომლი სიდეაა ის, რომ გაურკვეველობის სხვადასხვა პირობებში მიზანშეწონილია ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების მეთოდებისადმი განსხვავებული მიდგომად აქცევის მოქნილი ადაპტირება.



Cynefin ჩარჩოს თანახმად, ლიდერების წინაშე მდგარი ყველა პრობლემა შეიძლება 5 ტიპის სისტემაში გაერთიანდეს პრობლემებისა და ფაქტორების მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობების ბუნების შესაბამისად. ოთხი მათგანი - მარტივი, რთული, ექსტრემალური და ქაოტური - მოითხოვს მენეჯერების უნარს შეეძლოთ სიტუაციების დიაგნოზი და ამ შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღება. მეხუთე - განუკითხაობა - გამოიყენება იმ სიტუაციაში, სადაც უცნობია, თუ რომელი ჭარბობს ამ ოთხი კატეგორიიდან.

განვიხილოთ ყველა 5 ტიპის სისტემა. თითოეულ მათგანს ორი კრიტერიუმი ახასიათებს:

- მოწესრიგებულობის დონე დაბალიდან მაღალისკენ;
- სირთულის დონე დაბალიდან მაღალისკენ.

დავიწყოთ მარტივი სისტემით (Simple, Obvious). მოწესრიგება მაღალია, სირთულე დაბალია. სისტემას ახასიათებს სტაბილურობა; მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობები მასში გასაგებია. გადაწყვეტილების მისაღებად, საკმარისია გამოიყენოთ საუკეთესო პრაქტიკა. აქ შეიძლება არსებობდეს ერთი "საუკეთესო" გამოსავალი. მენეჯერის ქცევის მოდელის რეკომენდაცია: "შეიგრძენი - კატეგორიზდი - რეაგირდი".

შემდეგი - რთულად მოწესრიგებელი სისტემები (ინგლისურად გართულებულია). მოწესრიგება მაღალია, ასევე სირთულეც მაღალია. არსებობს მიზეზობრივი ურთიერთობები, მაგრამ ისინი აშკარა არ არის. არსებობს გაურკვევლობის მრავალი ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს შედეგზე. სწორი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს რამდენიმე. ლიდერის ქცევა: "შეიგრძენი - ანალიზი გაუკეთე - რეაგირება მოახდინე". ამ სისტემაში გამოიყენება "კარგი პრაქტიკები". ლიდერისთვის ასევე მნიშვნელოვანია ექსპერტების მოსმენა და გუნდის წევრების მხრიდან ახალი იდეების მოსმენა.

შემდეგი სისტემა - გაუგებრობა (Complex). სირთულე მაღალია, წესრიგი დაბალი. აქ ხდება ელემენტების რთული ურთიერთმოქმედება ერთმანეთზე. შედეგები არაპროგნოზირებადია, ხოლო ახსნა-განმარტებები წარმოიქმნება მხოლოდ ამ ფაქტის შემდეგ. ამასთან, არსებობს მინიმუმ ერთი სწორი გამოსავალი. ლიდერის ქცევის შესაბამისი მოდელი: "შეეცადე - შეიგრძენი - რეაგირება მოახდინე". ლიდერი მოქმედებს საცდელი გზით, ტოლერანტულია შეცდომების მიმართ, განსაზღვრავს წარმატებულ გადაწყვეტილებებს და იყენებს მათ. ამ სისტემაში გამოიყენება "განვითარებადი პრაქტიკა".

მეოთხე სისტემა არის ქაოსური (ინგლისურად Chaotic). სისტემის ეს მდგომარეობა დროებითია. მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობები მუდმივად იცვლება, მათი დაფიქსირება რთულია. გარემო არის მღელვარე, არასტაბილური. მენეჯერის ქცევის მოდელი აქ არის: "იმოქმედე - შეიგრძენი - რეაგირება მოახდინე". ლიდერის ამოცანაა სისტემაში წესრიგის დამყარება, ამიტომ მართვის ყველაზე ეფექტური სტილი არის დირექტიული. დაარსების შემდეგ, სისტემა გარდაიქმნება ან რთულად მოწესრიგებულ სისტემაში ან გაუგებრობაში. ქაოსურ სისტემაში გამოიყენება "ახალი პრაქტიკები".

მეხუთე არეალი არის განუკითხაობა, გაურკვეველობა (Disorder). ამ ტერიტორიას დეივ სნოუდენი გასაღებს უწოდებს. ეს არის მდგომარეობა, სადაც ჩვენ არ ვიცით, ზემოთ ჩამოთვლილი ოთხიდან რომელში ვართ და ჩვენ უმეტესი დრო მხოლოდ გაურკვეველობაში ვართ. აქ ერთადერთი, რისი გაკეთებაც შესაძლებელია, არის პრობლემის ქვე-პრობლემებად დაყოფა, თითოეული მათგანის კლასიფიკაცია და მათი მოგვარება სათითაოდ, მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ცვლილებების მართვის თანამედროვე ტენდენციები. რეპუტაციის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა გლობალური ტენდენციების ახალი ყოველწლიური ანგარიში, რომელშიც მოცემულია ათი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც გავლენას მოახდენს კორპორაციული რეპუტაციის ფორმირებაზე.

ახალი საბაზრო ძალების გაჩენა კომპანიებს ურთულებს რეპუტაციურ ეკონომიკაში წარმატებით ნავიგაციას. რეპუტაციის ლიდერების 70.2% ამბობს, რომ მათი კომპეტენტური მენეჯენტი ახლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე.

200 წამყვანი რეპუტაციის მართვის კომპანიის წამყვანი მენეჯერების ყოველწლიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რომლებიც 18 ინდუსტრიის წარმომადგენლები არიან, რეპუტაციის ინსტიტუტის საკონსულტაციო კომპანიის ექსპერტებმა დაადგინეს 10 ტენდენცია, რომლებიც ქმნიან კორპორატიულ რეპუტაციას და ხაზს უსვამენ გაზრდილი რისკის პოტენციურ სფეროებს.

1. მაღალი მიზნის მიღწევა. კომპანიებს უნდა შეეძლოთ წარმოადგინონ და დაუკავშირდნენ თავიანთი ბრენდის მთავარ მიზანს კულტურული ფასეულობების გამოყენებით, რაც სცილდება წარმოებული პროდუქციის თემის ფარგლებს.

ახალი კორპორატიული მიზნების კოდირიცავს მომხმარებლის ღირებულებების მიწოდებას, თანამშრომლების ინვესტიციებს, მომწოდებლებთან გულახდილ და ეთიკურ კომუნიკაციას, საზოგადოების მხარდაჭერას, აქციონერებისთვის გრძელვადიანი ფასეულობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალს, რაც საშუალებას აძლევს კომპანიებს განახორციელონ ინვესტიცია, ზრდა და დანერგონ ინოვაცია.

2. მონაცემთა კონფიდენციალურობა. მონაცემთა გაჟონვის რისკი არის ყოველდღიური რეალობა და მზარდი საფრთხე ყველა მსხვილი კომპანიისთვის.

Identity Theft Resource ცენტრის თანახმად, აშშ-ში მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევების რიცხვი 157 – დან 1244 – მდე გაიზარდა. 2005 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში, 2017 წელს 1,632 შემთხვევაზე დაფიქსირდა. 2019 წლის Global RepTrak კვლევის თანახმად, საზოგადოების 67,8% მეტი არ არის დარწმუნებული, რომ კომპანიები უზრუნველყოფენ საიმედო უსაფრთხოების ზომებს.

3. საპასუხისმგებლო ინვესტიცია. ფინანსური გადაწყვეტილების მიღებამდე ბიზნესმა უნდა გაითვალისწინოს ეთიკური და გარემო ფაქტორები. ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ძირითადი ინვესტორების 80% -ზე მეტი

ახლა ითვალისწინებს სოციალურ ფაქტორებს ინვესტიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

4. *ტექნოლოგიის გავლენა.* ხელოვნური ინტელექტის განვითარება და "ნივთების ინტერნეტი", დიდი მონაცემები და ტექნოლოგიური გამოგონებები ყველაზე მეტ გავლენას ახდენს მომხმარებლებზე და ბიზნესზე. კორპორატიული კომუნიკაციების დეპარტამენტების ხელმძღვანელთა 29.9% ტექნოლოგიების გავლენას დიდ რისკად თვლიან თავისი რეპუტაციისთვის.

5. *კლიმატის ცვლილება.* ჩვენ ვცხოვრობთ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჯგუფების მზარდი მოლოდინების ფონზე, რომ ქვეყნები, მთავრობები და კომპანიები გაზრდიან მათ გავლენას გარემოს დაცვაზე. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები - ქვეყნების საქმიანობის 17 სფეროა, რომლებიც მიისწრაფვიან მშვიდობისა და კეთილდღეობისკენ. მოსალოდნელია, რომ კომპანიები ასევე აქტიურად ჩაერთვებიან ამ პრინციპების განხორციელებაში.

6. *გავლენის ჯგუფები.* დაინტერესებული მხარეები და პირები (მოსაზრებების ლიდერები, პოლიტიკოსები, ექსპერტები), რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს საზოგადოებრივ აზრზე და რეპუტაციაზე, სულ უფრო მეტ წონას იძენენ. ზოგიერთ სექტორში ჯგუფების გავლენის წონა უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან. სამრეწველო და სასტუმროების სექტორების ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას და რეალიზაციას უპირატესობა აქვს გავლენიან ადამიანებს შორის რეპუტაციის თვალსაზრისით.

7. *მსხვილი ინსტიტუციების მიმართ უნდობლობა.* იზრდება საზოგადოების უნდობლობა მსხვილი ინსტიტუციების მიმართ, როგორცაა: ბიზნესი, მთავრობა და მედია. ამერიკელი მომხმარებლები 1,8 ჯერ უფრო მეტად ენდობიან მცირე კომპანიებს, მიაჩნიათ, რომ ისინი სწორად იქცევიან და მხარდაჭერას იმსახურებენ.

8. *მდგრადი განვითარება და საპასუხისმგებლო მოხმარება.* საზოგადოება მოელის, რომ კომპანიები პასუხისმგებლობით გამოიყენებენ წარმოების რესურსებს და მინიმუმამდე შეამცირებენ გარემოზე ზეგავლენას, მათი მიწოდების ქსელის გაუმჯობესებით.

9. *გენერალური დირექტორის საქმიანობა.* მსხვილი კომპანიების ლიდერებმა უნდა შექმნან თავიანთი საზოგადოებრივი პოზიცია პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა აქტუალურ საკითხებზე და არა მხოლოდ გამოხატონ რეაქცია მომხდარ მოვლენებზე.

10. *თანასწორობა, მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა.* დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსონალის დემოგრაფიულ პროფილს (სქესი, ეთნიკურობა, რასა და ა.შ.). RepTrak- ის კვლევის თანახმად, რომელიც 2019 წელს განხორციელდა American Banker-თან თანამშრომლობით ფინანსური სექტორის წარმომადგენლები განიცდიან უკიდურესად უარყოფით გავლენას რეპუტაციაზე, თანამშრომლებისა ან მომხმარებლებისადმი არათანაბარი მოპყრობის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ ყველა ის ფაქტორი, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში რეპუტაციის მენეჯმენტის ტოპ 10 ტენდენციაში იყო, ორი - მაღალი მიზნის არსებობა და მონაცემთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა - განაგრძობს მათი მნიშვნელობის ზრდას.

როგორ შემიძლია COVID-19-ის გავლენა თქვენს ორგანიზაციაზე?

ბიზნესის მუდმივი ფუნქციონირებისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად, საერთაშორისო კომპანიებს ხელი უნდა ეჭიროთ პულსზე და იყვნენ პროაქტიული.

გამოვყოფდით ხუთ პრიორიტეტულ სფეროებს - პირველ რიგში, იმ გაკვეთილებიდან გამომდინარე, რაც ჩინეთისა და აზიის სხვა ქვეყნების კომპანიებს მოუწიათ შესწავლა, რომლებიც პირველები მოხვდნენ ეპიდემიის დარტყმის ქვეშ:

1. ადამიანების უსაფრთხოება და ბიზნესის უწყვეტი ფუნქციონირება;
2. ბიზნესის უწყვეტობის ახალი სტრატეგია;
3. დაინტერესებული მხარის ჩართულობა;
4. სახელმწიფოსგან მაქსიმალური მხარდაჭერის მიღება;
5. მდგრადობისა და მზადყოფნის გაზრდა ახალი "ნორმალურობისთვის".

კრიზისში გადარჩენის მიზნით, ბიზნესმა:

- თვალყური უნდა ადევნოს მოკლევადიან ლიკვიდობას. კომპანიებმა აუცილებელია დაწერონ მოკლევადიანი ფულადი სახსრების ნაკადების მონიტორინგის პროცედურა, რათა შეეძლოთ დროულად მათი შემცირების პროგნოზირება და მიიღონ ოპერატიული ზომები. ასევე აუცილებელია საბრუნავი კაპიტალის მართვის ეფექტურობის გაზრდა, განსაკუთრებით, დებიტორული დავალიანების და ინვენტარიზაციის კონტროლის თვალსაზრისით. ამასთან, სამუშაო კაპიტალის ციკლის შესამცირებლად, მნიშვნელოვანი ინოვაციური გადაწყვეტილებების მოძებნა და პროაქტიულობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომწოდებლებთან რეგულარულ ურთიერთქმედებას, რათა დროულად შეაფასონ პოტენციური რისკები.

- შეაფასონ ფინანსური და ოპერაციული რისკები და სწრაფად მოახდინონ მათზე რეაგირება. კომპანიებმა თვალყური უნდა ადევნონ პირდაპირი ხარჯების ზრდასა და მომგებიანობას, რათა მათ სწრაფად შეძლონ მოლაპარაკებების დაწყება, საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებების გადასინჯვის მიზნით.

- განსაზღვრონ COVID-19-ის გავრცელების გავლენა ბიუჯეტებსა და ბიზნეს გეგმებზე. კომპანიებმა უნდა შეამოწმონ მდგრადობის ფინანსური გეგმები სხვადასხვა სცენარში, რათა შეაფასონ, თუ როგორ შეიძლება გავლენა მოახდინოს კრიზისმა ფინანსურ შედეგებზე და რამდენ ხანს გაგრძელდება ეს. თუ ბიზნეს გეგმები და ბიუჯეტის დაგეგმვის წინაპირობები არ არის აქტუალური კრიზისის შედეგების გამო, მათი გადახედვა უნდა მოხდეს ცვლილებებთან ადაპტაციის მიზნით. და თუ პანდემიის გავლენა საფრთხეს უქმნის დამანგრეველს, აუცილებელი მინიმუმი უნდა განისაზღვროს, რომ ხელი შეუწყოს ოპერაციულ საქმიანობას პერსონალის დაკომპლექტების, მომწოდებლებთან ურთიერთქმედების, შესაძლებლობების და ტექნოლოგიების გადაიარაღების თვალსაზრისით.

დასკვნა

კორონავირუსის გამოვლენამ შეცვალა ბიზნესის დღის წესრიგი, რომლის მიხედვითაც რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს დაფიქრება იმაზე, თუ როგორ უნდა მოახდინონ რეაგირება სერიოზულ შოკებზე, ასევე, მუშაობის აღდგენასა და სამომავლოდ გარდაქმნის გეგმებზე.

კოროვირუსული ეპიდემიის კონტროლის ქვეშ მოქცევისას, ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნების გეგმას, კიდევ ერთხელ გადახედვა და კორექტირება ჭირდება. მნიშვნელოვანია აგრეთვე მიღებული ზომების ეფექტურობის შეფასება. მნიშვნელოვანია თავისუფალი ვაჭრობის გააქტიურება.

საქართველოს ეკონომიკის ზრდა დამოკიდებულია ინვესტიციებზე და აწარმოებაზე, შესაბამისად, საქართველო უნდა შეეცადოს თავისუფალი ვაჭრობის პირობებში ახალი ბაზრების მოძიებას, მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, ჩინეთი, ინდოეთი. თუმცა, ეს ყველაფერი უნდა ხდებოდეს ბიზნეს გარემოს, სამართლებრივი სისტემის გაუმჯობესების და დაბალი გადასახადების შენარჩუნების, ასევე, მაკრო და ფისკალური მდგრადობის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, თბ., 2018.
2. https://www.ey.com/ru_ru
3. <http://lab.academyey.com>
4. <https://aqm.by/stati/>

ცვლილებების მართვის თანამედროვე ეკონომიკური ტრენდები სუზანა დობორჯგინიძე რეზიუმე

მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ჩვენ ყველანი გლობალური ცვლილებების მოწმე ვართ, რომელიც ბაზრებზე ხდება. კორონავირუსმა საფრთხე შეუქმნა ადამიანების ჯანმრთელობას და შეაფერხა ეკონომიკური საქმიანობა მსოფლიოში. კორონავირუსის პანდემიამ და წამყვანი ქვეყნების ეკონომიკის შემდგომმა დაბლოკვამ განაახლა მენეჯმენტის სტილის საკითხების განხილვა და მენეჯერების როლი მზარდი გაურკვევლობის ფონზე.

Cynefin Framework (ავტორი -Dave Snowden) არის მართვის კონცეფცია, რომლის იდეაა ის, რომ გაურკვევლობის სხვადასხვა პირობებში მიზანშეწონილია ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების მეთოდებისადმი განსხვავებული მიდგომა და ქცევის მოქნილი ადაპტირება. ბიზნესის მუდმივი ფუნქციონირებისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად, საერთაშორისო კომპანიებს ხელი უნდა ეჭიროთ პულსზე და იყვნენ პროაქტიული.

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსის ეპიდემია, პოსტპანდემიური კრიზისი, გადაწყვეტილების მიღება გაურკვევლობის პირობებში, Cynefin Framework მართვის კონცეფცია, ცვლილებების მართვის თანამედროვე ტენდენციები.

Modern economic trends in change management

SuzanaDoborjginidze

Summary

The world is facing new challenges. We are all witnessing the global changes that are taking place in the markets. The coronavirus caused a threat to human health and hampered economic activity around the world. The coronavirus pandemic and the subsequent blockade of the economies of leading countries have resumed the discussion of management style issues and the role of managers in the face of growing uncertainty.

The Cynefin Framework (author Dave Snowden) is a management concept whose idea is that in different conditions of uncertainty it is advisable to take a different approach to analysis and decision-making methods and to adapt flexibly to behavior. To maintain the consistent operation and sustainability of the business, international companies must rely on the pulse and be proactive.

Key words: Coronavirus epidemic, post-pandemic crisis, decision making in uncertainty, Cynefin Framework management concept, modern trends in change management.

Современные экономические тренды управления изменениями

Сузана Доборджинидзе

Резюме

Мир сталкивается с новыми проблемами. Мы все являемся свидетелями глобальных изменений, происходящих на рынках. Коронавирус представляет угрозу для здоровья человека и препятствует экономической активности во всем мире. Пандемия коронавируса и последующая блокада экономик ведущих стран возобновили обсуждение вопросов стиля управления и роли менеджеров в условиях растущей неопределенности.

Cynefin Framework (автор Дейв Сноуден) - это концепция управления, идея которой заключается в том, что в различных условиях неопределенности целесообразно использовать другой подход к методам анализа и принятия решений и гибко адаптироваться к поведению. Для поддержания последовательной работы и устойчивости бизнеса международные компании должны полагаться на пульс и проявлять инициативу.

Ключевые слова: эпидемия коронавируса, постпандемический кризис, принятие решений в условиях неопределенности, концепция управления Cynefin Framework, современные тенденции в управлении изменениями

პროფესიული კომპეტენციების განვითარება სამედიცინო მენეჯმენტში
ლაზვიაშვილი ლ. - ასოც.პროფ. მენეჯმენტის მიმართულებით
სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

შესავალი

სამედიცინო მენეჯმენტი - სოციალური მედიცინისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის შემადგენელი ელემენტია. ჯანდაცვის სისტემის მართვის აქტუალობა განპირობებულია საბაზრო ურთიერთობების პირობებით, როცა ყველა პერსონალს უნდა შეეძლოს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება საკუთარი პროფესიული კომპეტენციის საზღვრებში.

სამედიცინო მენეჯმენტში აღმასრულებელი სტრატეგიული სისტემა პასუხისმგებელია: სერვისის გაყიდვის გრძელვადიან პროგნოზირებაზე, ბიუჯეტის პროგნოზირებაზე, მოგების დაგეგმვაზე და საკადრო პოლიტიკის ეფექტიანობაზე, ზოგადად, კომპანიის რეპუტაციისა და საზოგადოებრივი იმიჯის დაცვაზე. მმართველობითი სისტემა შესაბამისად პასუხისმგებელია: გასაღების მართვაზე, ინვესტირების ანალიტიკაზე, რეგიონალური კომერციული საქმიანობის ანალიზზე, რენტაბელობის კონტროლზე. ცოდნის სისტემის „პასუხისმგებლობის სივრცეს“ წარმოადგენს პროექტირება და გრაფიკული მენეჯმენტის გაძღოლა. მოთხოვნების დიალოგის დამუშავების სისტემა თავის კომპეტენციურ ზონაში აკუმულირებას უკეთებს შემდეგ მაჩვენებლებს: მარკეტინგის, წარმოების, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების საექსპლუატაციო მიდგომებს.

ძირითადი ტექსტი

ჯანდაცვის ანუ მედიცინის მენეჯერი პირველ რიგში უნდა იყოს საბაზრო ორიენტაციის ხელმძღვანელი, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას დარგის რეფორმირების მოთხოვნების შესრულებაზე და ჯანდაცვის სისტემის საბაზრო ადაპტაციის ორიენტირზე. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო სუბკულტურის კონცეფციას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს: სამედიცინო საქმიანობის სპეციფიკის გამოვლენა, სამედიცინო სუბკულტურის ფუნქციური სტრუქტურის განსაზღვრა, სამედიცინო სუბკულტურის სპეციფიური ფასეულობების განსაზღვრა, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სამედიცინო სუბკულტურის დინამიკაზე.


ჯანდაცვის ორგანიზაციების ეფექტური მართვა მოიცავს შემდეგ დესკრიპტორებს:

- კლიენტურის პროფილაქტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციის და დიაგნოსტიკის შედეგების გაუმჯობესება;
- პაციენტებისთვის საუკეთესო ხარისხის მომსახურების მიწოდება (როცა საუბარია სერვისის ხარისხის მოდელზე, უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების ხარისხის მოდელი მოიცავს მჭიდრო კავშირს მომხმარებლის მოლოდინსა და მომხმარებლის საგარეო კომუნიკაციას შორის და მათ შორის ბუფერ რგოლად შეიძლება დავასახელოთ

მენეჯმენტის წარმოდგენა მომსახურების ხარისხზე, სერვისის ხარისხის სტანდარტი და კომპანიის მიერ შეთავაზებული ფაქტიური სერვისი);

- ოპტიმალური თანაფარდობა ფასსა და ხარისხს შორის;
- კლიენტურის მაქსიმალური რაოდენობის მოზიდვა - ორგანიზაციის სამომხმარებლო ბაზის გაფართოება.

სქემა.ჯანდაცვის დაწესებულებებში სამედიცინო დახმარების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მიდგომები.



ხარისხის მენეჯმენტი - ორგანიზაციული მართვის მაკოორდინირებელი საქმიანობა, მიმართული მიზნების მიღწევაზე ხარისხის სფეროში (დაგეგმვა, უზრუნველყოფა, გაუმჯობესება).

სამედიცინო დახმარების ხარისხის მართვა - სამედიცინო დახმარების გაწევის პროცესის სტანდარტიზაცია და მონიტორინგი.

სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი და შეფასება - პრაქტიკული კვლევითი მეთოდი-სპეციალიზირებული მიდგომა.

სამედიცინო მარკეტინგი განიხილება, როგორც პროცესი, რომლის დახმარებით იმართება სამედიცინო დახმარების ბაზარი.

ჯანდაცვის მარკეტინგის პრინციპებია:

- ჯანდაცვის ბაზრების სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევა;
- ბაზრის კონიუნქტურის ეკონომიკური ანალიზი;
- ბაზრის სეგმენტაცია;
- ოპტიმალური თანაფარდობაწარმოებასა და მარკეტინგს შორის;
- სამომხმარებლო ინტერესებით ხელმძღვანელობა და აზროვნება მყიდველის პოზიციიდან.

• მარკეტინგის კონცეფციის დანერგვა ჯანდაცვის სისტემაში განპირობებულია იმით, რომ ბაზარზე რეალურად ფუნქციონირებენ სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო სექტორები.

- თანამედროვე ეტაპზე ფორმირებულია სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა, რაც ხელს უწყობს საბაზრო ურთიერთობების ელემენტების დამკვიდრებას. ჯანდაცვა მოწოდებულია უზრუნველყოს პიროვნების უფლების გარანტია და ზოგადად, საზოგადოებრივი განვითარება.

სამედიცინო მენეჯმენტზე დაყრდნობით, საბაზრო რისკების გადალახვის მიზნით, პრიორიტეტულია მრავალპროფილური სამკურნალო ორგანიზაციის შექმნა და აღნიშნულ სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექიმების, ექთნებისა და მკვლევარების პროფესიული კომპეტენციების ინტეგრირებას საკუთარ „პასუხისმგებლობის ზონაში“. პაციენტზე მორგებული დაწესებულება მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს ექიმებისა და ადმინისტრატორების ურთიერთთანამშრომლობაზე. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სრულყოფაზე. ჯანდაცვის მენეჯერი უნდა იყოს ჩართული ორგანიზაციის პრეს-რელიზების დამუშავების პროცესში, რომლითაც წარმოჩინდება კომპანიის პოლიტიკა სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით, სრულყოფის პროექტები და სამოქმედო გეგმები. კომპანია ამით აქცენტს იღებს საბაზრო ადაპტაციაზე, რათა მხედველობიდან არ გამორჩეს ღია შესაძლებლობები. ახალი საბაზრო უპირატესობების ძიება დაეხმარება კომპანიას ბაზარზე გრძელვადიანი პოზიციის შენარჩუნებაში. სამედიცინო დაწესებულებებმა უნდა მიმართონ პასუხისმგებლური მარკეტინგის განხორციელებას, რომლის თანახმად ისინი თავად დაუკავშირდებიან მომხმარებლებს მათი კმაყოფილების ხარისხის შეფასების მიზნით.

დასკვნა

ადამიანის ფიზიკურ და სოციალურ ჯანმრთელობას უზრუნველყოფს ცხოვრების სტილი და ყოფითი გარემო, მემკვიდრეობა და ჯანდაცვის განვითარების დონე.

სამედიცინო მენეჯმენტი - სამედიცინო პერსონალის პროფესიული ქცევის ხაზია (შედეგზე ორიენტირებული მკურნალობის სტრატეგია). მედიკოსების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებს წარმოადგენს: სამედიცინო მომსახურების ხარისხი და მკურნალობის შედეგები. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო მენეჯმენტის ცენტრების ფუნქციონირებას უნივერსიტეტების ბაზებზე.

ცენტრის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასწავლო პროგრამების კორექტირება;
- სწავლების კომპლექსურობა და სისტემურობა;
- მოქნილობა და დინამიურობა;
- პრაქტიკული ჯანდაცვის ამოცანების გადაწყვეტა;
- ფოკუსირება ფინანსური მენეჯმენტისა და დაზღვევის თემატიკაზე.

აღნიშნულ ცენტრში არის შესაძლებლობა საინფორმაციო შეხვედრების განხორციელებისა, რომლის ფორმატში შეიძლება განხილული იქნეს შემდეგი პრაქტიკული საკითხები:

- ფასიანი სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია;

- ფასიანი სამედიცინო მომსახურების სამართლებრივი ასპექტები;
- სამკურნალო მედიკამენტების მარკეტინგი და ექსპერტიზა;
- სახელმწიფო და კერძო ჯანდაცის ეთიკური ასპექტები;
- სამედიცინო ორგანიზაციების განვითარების პერსპექტივები.

არსებულ სიტუაციურ მენეჯმენტში ახალ საბაზრო მიდგომებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი განმსაზღვრელები:

- პერსპექტიული საბაზრო სტრატეგიის დამუშავების წინაპირობას წარმოადგენს ფუნქციონალური გუნდური
- მკაფიოდ დიფერენცირებული საბაზრო წინადადებების შექმნა სეგმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით;
- მჭიდრო კავშირი ფუნქციონალურ ინტეგრაციასა და ეფექტურ პოზიციონირებას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Али М.С. – мастерство менеджмента. Бизнес-Пресс. 2004.
2. Мардас О.В. – организационный менеджмент. Питер. 2003.
3. Брунер Р.Ф. – бизнес-администрирование. Олимп-бизнес. 2002.
4. Шапиро В.Д. – корпоративный менеджмент. Высшая школа. 2003.
5. Гроу Э.С. – эффективный менеджмент. Инфра-М. 2002.

რეზიუმე

პროფესიული კომპეტენციების განვითარება სამედიცინო მენეჯმენტში ლევან ლაზვიაშვილი

სტატიაში განხილულია მენეჯმენტის სუბკულტურა და სამედიცინო მენეჯერის კომპეტენცია საბაზრო ურთიერთობების კონტექსტში, აგრეთვე, ამ მხრივ, სამედიცინო მარკეტინგის მნიშვნელობა. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ჯანმრთელობის მენეჯმენტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის მნიშვნელობას და მის საფუძველზე

შემუშავდა ხარისხის მართვის მოდელი. სამეცნიერო სტატია ეძღვნება სამედიცინო მართვის ცენტრის შექმნის მნიშვნელობას და მის როლს ჯანდაცვის მენეჯერის კომპეტენციების განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო მენეჯმენტი, ხარისხის მენეჯმენტი, სამედიცინო მენეჯარი, ხარისხის მართვის მოდელი, სამედიცინო მართვის ცენტრი.

Р е з ю м е

Развитие профессиональных компетенций в медицинском менеджменте

Леван Лазвиашвили

В статье рассматриваются субкультура менеджмента и компетенции медицинского менеджера в контексте рыночных отношений, а также важность медицинского маркетинга в этом отношении. Значительное внимание уделяется важности процесса обеспечения качества в управлении здравоохранения, и на его основе разработано модель управления качеством. Научная статья посвящена важности создания медицинского центра менеджмента и его роли в развитии компетенций менеджера здравоохранения.

Ключевые слова: медицинский менеджмент, менеджмент качества, медицинский менеджер, модель менеджмента качества, медицинский центр управления.

Summary

Development of professional competencies in medical management.

Levan Lazviashvili

The article focuses on the subculture of management and the competencies of the medical manager in the context of market relations and the importance of medical marketing in this regard. Significant attention is paid to the importance of the quality assurance process in medicine management and a quality management model is developed based on it. The scientific article focuses on the importance of establishing a Medical Management Center and its role in developing the competencies of a healthcare manager.

Key words: medical management, quality management, medical manager, quality management model, medical management center.

მენეჯმენტის ჰუმანიზების კონცეფცია COVID-19-ის გამოცდილებით
(მოხსენება უნივერსიტეტ გეომედის კონფერენციისათვის)

რევაზ ლორთქიფანიძე

შ.პ.ს.სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო,
revazlordkipanidze@gmail.com

შესავალი

წარმოდგენილი საკონფერენციო მოხსენების

ზოგადთეორიული გააზრებისთვის

- გამჭვირვალე მართვის პროცესში მოთხოვნილი ჰუმანიზების შესახებ მწვავე ინფორმაციული დეფიციტის ეპოქაში, მნიშვნელოვანწილად გარკვეულ, მაგრამ მწირ ინფორმაციაზე უარესი, ჭარბი ინფორმაცია აღმოჩნდა, ვინაიდან, ის დროის ძალიან დიდ ფუჟ დანაკარგებს იწვევს, რაც ყოვლად დაუშვებელია მედიცინაში. ინფორმაციის გაზომვის ენტროპიულ-მათემატიკური მეთოდი ადასტურებს, რომ ჩვენ შესაძლოდ თანაბარძალოვნად ყოვლისმომცველი ინფორმაცია გვჭირდება.

- ენტროპიული მეთოდით ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფილებაც შეიძლება გავზომოთ და ამ მეთოდზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ერთი შეხედვით „რთული“ - ხარჯტევადი და დროში გაწელილი მეცნიერებატევადი დარგების (მ.შ. პრიორიტეტულად ჯანდაცვა) იგნორირება არათუ სახიფათოა, დამლუპველიც არის. მარტივი დარგები ხშირად სწრაფ შემოსავალს გვაძლევს, მაგრამ ისინი სადესერტე ნუგბარს შეიძლება შევადაროთ და მხოლოდ შაქრიანი საკვების მიღება, მოგესხენებათ, ყოვლად დაუშვებელია.

ძირითადი ტექსტი

ჩვენს მიერ ჩატარებულმა მრავალფაქტორულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში კორონავირუსის გამწვავებების კრიტიკული დონის მთავარ მიზეზებად გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- 1) ვირუსისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი ტენიანი და ზომიერად თბილი კლიმატი ცენტრალურ და მიმდებარე რეგიონებში;

- 2) ტურისტული ნაკადების მაღალი ინტენსიობა;

- 3) მაღალტემპარამენტიანი სტუმართმოყვარე და ზოგჯერ გადაჭარბებულად ემოციური ბუნება;

4) უნიკალური სიძველის არქიტექტურული შედეგების სიმრავლე, რომლის მოვლა დიდ ძალისხმევას საჭიროებს (მ.შ. აუცილებელი ხდება საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა);

5) მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო მაგისტრალების გადაკვეთა;

6) ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების შედარებით დაბალი ფასები, რამაც მიგრანტების განსაკუთრებული მოზღვავება გამოიწვია.

ქართული ჯანდაცვისთვის სასიცოცხლოდ აქტუალურია, რომ, უახლოეს პერიოდში, მთავარი აქცენტები საქართველოსთვის არგუმენტირებულად განსაზღვრულ პრიორიტეტებზე უნდა გაკეთდეს და, უპირველესად, საუკეთესო კლასის განათლების სისტემა და სოფლის მეურნეობა გვჭირდება, მხოლოდ შემდეგ ამოქმედდება სათანადო მრეწველობა.

ჩვენს სოფელსაც სჭირდება მეცნიერება, რომ ქართულ სამედიცინო ობიექტებზე კვება საიმედო და კონკურენტუნარიანი იყოს. სამწუხაროდ, მეცნიერება, ხშირ შემთხვევაში, დოტაციურია და მოგებას არ იძლევა, მაგრამ სახელმწიფო სწორედ აქ უნდა იყოს ყველაზე მეტად მიზანმიმართული და მზრუნველი, ბაზართან ადეკვატური ეკონომიკური მექანიზმებით.

„კორონაეკონომიკის“ ექსტრემალურმა პირობებმა თვალსაჩინო გახადა, რომ მედიცინასთან ერთად, მეცნიერებატევადი დარგებიდან განსაკუთრებით უნდა დაწინაურდეს დივერსიფიცირებული ენერგეტიკა, სამშენებლო ინდუსტრია, კომპიუტერული რობოტომანქანები და ქიმიური კომპლექსი.

დასკვნა

კრიზისისშემდგომ საქართველოში მინიმუმ 10-12 ინდუსტრიული მომსახურების (მ.შ. სამედიცინო ტექნიკისა და დისტანციური ჯანდაცვითი პროფილაქტიკის) იმპორტშემცვლელი „სასათბურე“ ზონა უნდა მოვიაზროთ და მოვაწყოთ - თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, გორი. ზესტაფონი, ჭიათურა, სამტრედია, გურჯაანი, ზუგდიდი და ოზურგეთი.

საპარლამენტო ცენტრად ქუთაისის ფორმალურმა გამოცხადებამ, ბუნებრივია, შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ, სწორედ ამ ინდუსტრიულ ცენტრში ჭკვიანი მანქანების წარმოების ორგანიზება კონვეირულად გამოიწვევს რუსთავის მძლავრ ისტორიულ ინდუსტრიებზე მზარდი მოთხოვნის გაჩენასაც. გურჯაანი ფლაგმანი იქნება მევენახეობა-მეღვინეობაში, ბათუმი - თევზის პროდუქტებისა და ციტრუსოვანთა ხილფაფების წარმოებში, ზუგდიდი - თხილში, ოზურგეთი - მეჩაიეობაში, გორი - ვაშლისა და მისი გადამუშავების მრავალფეროვანი პროდუქტების წარმოებაში,

თბილის-რუსთავისა და ზესტაფონ-ჭიათურა-სამტრედიის აგლომერაციები კი - მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში.

ეს ყოველივე, ყველაზე მეტად მეცნიერებატევადი - საყოველთაოდ აღიარებული ჩვენი მედიცინისა და უნიკალური კულტურის ტრადიციული დარგების განვითარების პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს. სწორედ ეტაპობრივად და საყოველთაო ინსტიტუციონალური ჩართულობით გათვლილი და ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური სტრატეგია შეიძლება იყოს ჩვენი ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარანტი.

გამოყენებული წყაროები:

1. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი <https://geomedi.edu.ge/>
2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო <https://www.moh.gov.ge/>
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://www.geostat.ge/ka>
4. Porter, M. & Heppelmann, J. "Why Every Organization Needs an Augmented Reality Strategy", Harvard Business Review, November 2017.
5. Porter, M. "The Five Competitive Forces That Shape Strategy". Harvard Business Review: January 1, 2008.
6. Coase, R. H. (1960). "The Problem of Social Cost". *Journal of Law and Economics*. 3 (1): 1–44. doi:10.1086/466560.
7. რევაზ ლორთქიფანიძის გვერდი კოსმოსური ნასას მხარდაჭერილ მეცნიერთა ქსელში https://www.researchgate.net/profile/Revaz_Lordkipanidze

მენეჯმენტის ჰუმანიზების კონცეფცია COVID-19-ის გამოცდილებით
(მოხსენება უნივერსიტეტ გეომედის კონფერენციისათვის)

რევაზ ლორთქიფანიძე

რეზიუმე

კორონავირუსული პანდემიის განსაკუთრებული ტემპებით გავრცელების პრობლემებმა ამერიკასა და დასავლეთევროპულ ქვეყნებში, გამოავლინა ექსტრემალურ სიტუაციაში ასამოქმედებელი კრიზისული მენეჯმენტის მწვავე აუცილებლობა. შესაბამისად, აშშ და ევროპული ეკონომიკური სკოლების გამოცდილების საფუძველზე და ჩვენი ეკონომიკის რეალობის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ შემუშავდა საკუთარ შესაძლებლობებზე ორიენტირებული კონკურენტული მენეჯმენტის კონცეფცია, რომლის მთავარი მიზანდასახულობა ადამიანია, ანუ მისი ცხოვრების დონის არსებითი ამაღლება და უმწვავესი დემოგრაფიული პროცესების შეჩერება და სასიკეთოდ შემობრუნება.

ინფორმაციული, ფიზიკური და ბიო-ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებამ, მათ შორის „მოკლე ჩართვის“ ფაქტორმა ეკონომიკური კონკურენციის შეფასებაში დაადასტურა ჩვენი ადრინდელი კვლევების შედეგები, რომ ბაზარი არ უნდა იყოს მიდრეკილი ეგრეთ წოდებული „ჭიანჭველების გადაჭარბებული რაოდენობის აგრესიული გადაადგილებისკენ“, რაც, სხვადასხვა ეკონომიკური მექანიზმის კომბინირებული ძალისხმევით, საჭიროებს ზომიერ შეზღუდვას, ინფლაციის შეკავებასა და მტაცებლური დემპინგური ფასებით ოპერირებადი კრიმინალური მონოპოლიების მუდმივ მონიტორინგს.

საკვანძო სიტყვები: Covid-19, კონკურენტული მენეჯმენტი, „კორონა ეკონომიკა“, ეკონომიკური სტრატეგია.

Management Humanization Concept with COVID-19 Experience

(Report for University Geomedi Conference)

Revaz Lordkipanidze

Summary

The problems with the particularly rapidly spread of the coronavirus pandemic in the United States and Western Europe have highlighted the urgent need for emergency crisis management. Accordingly, based on the experience of economic schools in the USA and Europe and the reality of our economy, we have developed a concept of competitive management based on our own capabilities, the main purpose of which is to improve of living standard of a human and change of very bad demographic processes.

The use of informative, physical and bio-psychological methods, including the “short circuit” factor in assessing economic competition, confirmed the results of our earlier study that the market should not be exposed to the so-called “excessive number of ants moving aggressively”. Accordingly, management requires moderate restraint, accounting for inflation and constant monitoring of criminal monopolies operating at the prices of predatory dumping.

Keywords: Covid-19, Competitive Management, “Corona Economics“, Economic Strategy.

Концепция гуманизации управления с опытом COVID-19

(Отчет для конференции Университета Геомеди)

Реваз Лордкипанидзе

Резюме

Проблемы с распространением пандемии коронавируса особенно быстрыми темпами в Соединенных Штатах и Западной Европе высветили насущную необходимость в кризисном регулировании в чрезвычайных ситуациях. Соответственно, основываясь на опыте экономических школ США и Европы и реальности нашей экономики, мы разработали концепцию конкурентного управления, основанную на наших собственных возможностях, главной целью которой является повышение уровня жизни и изменение демографических процессов.

Использование информационных, физических и биопсихологических методов, включая фактор «короткого замыкания» в оценке экономической конкуренции, подтвердило результаты нашего более раннего исследования о том, что рынок не должен быть подвержен так называемому «чрезмерному количеству муравьев, движущихся агрессивно». Соответственно, менеджмент требует умеренной сдержанности, учета инфляции и постоянного мониторинга криминальных монополий, действующих по ценам хищнического демпинга.

Ключевые слова: Covid-19, конкурентное управление, „Corona Economics“, экономическая стратегия.

არაფროიდული „სიამოვნების პრინციპი“, როგორც ადამიანთა საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი

არჩილ კაპანაძე, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

როგორც ჩვენ წინა ნაშრომში იყო აღნიშნული, ზიგმუნდ ფროიდმა, მის მიერ მოწოდებულ ადამიანის ფსიქიკის სტრატეგიკაციაში მიუთითა, რომ „იდ“ არის დაფუძნებული „სიამოვნების პრინციპზე“ ანუ ადამიანის ფსიქიკის პირველი დონე - იდ - ემორჩილება სიამოვნების პრინციპს. არის ველური და ავტორმა იგი ცხენს შეადარა - მისი მოძრაობა მხოლოდ სურვილის დაკმაყოფილებაზე არის დამოკიდებული. ადამიანის ფსიქიკის შემდეგი დონეები, „ეგო“ და „სუპერეგო“ ფროიდმა შეადარა მხედარს, რომელიც მიმართულებას აძლევს ცხენს არა ცხენის სურვილების დასაკმაყოფილებლად, არამედ მხედრის მიზნების მიხედვით. მაგრამ, ეგოსა და სუპერეგოს დონეებზე ფროიდი აღარ ახსენებს კონცეპტს „სიამოვნება“. სამაგიეროდ იგი ხმარობს: „ამ წესების დაცვა იწვევს სიამაყის, მნიშვნელოვანების და მიღწევის გრძნობას.“ ჩემი აზრით ესეც სიამოვნებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფროიდი ეგოსა და სუპერეგოს თვლის აღზრდის შედეგად. აღზრდა კი მხოლოდ საზოგადოებრივი ქმედების შედეგად არის შესაძლებელი. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ თუ ადამიანის შვილი 3-დან 5 წლამდე ასაკში არ მოექცა საზოგადოებრივი ურთიერთობების გავლენის სფეროში, მისგან პიროვნება აღარ ყალიბდება.

რა არის აღზრდა პრინციპულად?

აღზრდა ეს არის პიროვნების ფორმირების პროცესში საზოგადოებრივი ინსტიტუტების (საზოგადოებაში მიღებული ცნებების - წესების) ზემოქმედება იმისათვის, რომ ჩამოყალიბებული პიროვნება, საზოგადოებრივი ურთიერთობების პროცესში, იყოს მაქსიმალურად დაცული - შემცირდეს მისი სიკვდილის ალბათობა.

როგორ ხორციელდება აღზრდის პროცესი?

აღზრდელს წარედგინება გარემო, მაგალითების სახით, და მათი შეფასება - ეს კარგია, ეს არ არის კარგი. ამავე დროს, აუცილებელია, რომ „კარგმა“ გამოიწვიოს სიამოვნება! ხოლო „არა კარგმა“ - უსიამოვნება.

ვინაიდან, აღზრდა არის საზოგადოების უზოგადესი თვისების - ურთიერთობის - ერთ-ერთი გამოვლინება, შეიძლება ითქვას, რომ იგი არის საზოგადოების განუყოფელი ატრიბუტი.

ამდენად, აღზრდის პროცესის პრინციპულ განხილვას მარტივად და ლოგიკურად მივყავათ დასკვნამდე, რომ ადამიანთა საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი არის „სიამოვნების პრინციპი“, თუმცა იგი აღარ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ფროიდის მიერ მოცემულ „იდ-ის“ ფარგლებში და, ამდენად, ეს უკვე არის არაფროიდული „სიამოვნების პრინციპი“.

ამავე ჭრილში შეიძლება განვიხილოთ „თავისუფალი ნების“ ცნება. თუ ისევ გამოვიყენებთ ფროიდის მიერ მოწოდებულ სტრატეგიკაციას, „ნება“ ეს არ არის

სურვილი, რომელიც შეიძლება წამყვანი იყოს იდ-ის ან, თუნდაც, ეგოს დონეზე. „ნება“ ინტელექტური აქტია და, ამდენად, იგი სუპერეგოს დონეს განეკუთვნება. ფროიდის მიხედვით ეგოსა და სუპერეგოს დონეებზე შემოდის პიროვნული და საზოგადოებრივი განმსაზღვრელები (შემზღუდავი ცნებები). ამდენად, საუბარი „თავისუფალ ნებაზე“, სულ ცოტა, ხამწუხარო უზუსტობა უნდა იყოს. ალბათ, უპრიანი უნდა იყოს საუბარი „საკუთარ ნებაზე“, რამდენადაც აქ ჩართულია არა მარტო პიროვნული და საზოგადოებრივი განმსაზღვრელები (შემზღუდავი ცნებები), არამედ მათდამი პიროვნების პირადი დამოკიდებულება. სწორად ეს ხდება „ნების“ განმსაზღვრელი. ამგვარად გააზრებული „ნება“ უკვე აღარ შეიძლება განვიხილოთ როგორც „თავისუფალი“, უფრო ზუსტი იქნებოდა იგი განვიხილოთ როგორც „საკუთარი ნება“. ამ ცნების ამგვარი განხილვა აღარ წარმოშობს მთავარ კითხვას - „რისგან თავისუფალი?“, ცნება „საკუთარი ნება“ ხდება კონკრეტულად სუბიექტური და, ამდენად, განსაზღვრული.

„საკუთარი ნების“ აღსრულება პიროვნებაში იწვევს, ფროიდის მიხედვით, „სიამაყის, მნიშვნელოვანების და მიღწევის გრძნობას“. ეს ინტელექტური ტკობაა, რაც სიამოვნების ნაირსახეა და ტკობის უმაღლეს სახეობად ითვლება.

გამოცემის რედაქტორი : ბოლოკაძე იოსები

დაბეჭდილია შპს „პოლიგრაფიაში“-ში

მისამართი: თბილისი, ფანასკერტელი-ცინციშვილის ქ. №1